

შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	11
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	12
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	13
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	14
მმართველობის ანგარიშგება.....	38

შპს ჰჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“-ს მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“
ქ. თბილისი, ზელიაშვილის I ჩიხი #3
ბატონო ვალერი,

05 ნოემბერი 2025 წ.

ოფიციალური წერილი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ამ წერილს ვწერთ ჯგუფის 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა ხელმძღვანელობისა და შესაბამისი ცოდნისა თუ გამოცდილების მქონე პერსონალის გამოკითხვას და, საჭიროების შემთხვევაში, მხარდამჭერი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგებს, რომელიც ჩვენთვის საკმარისია, იმაში დასარწმუნებლად, რომ შეგვიძლია სათანადოდ წარგიდგინოთ იმ აუდიტთან დაკავშირებული თითოეული განმარტება, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს.

ვაცნობიერებთ ჩვენს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თქვენთვის როგორც აუდიტორებისათვის ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით და ვადასტურებთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს ისეთი ინფორმაცია, რომლის შესახებაც თქვენ არ იცით და შეიძლება გჭირდებოდეთ, თქვენი აუდიტორის დასკვნის მოსამზადებლად. თითოეულმა დირექტორმა შეასრულა ყველა ის ქმედება, რომელიც მას როგორც დირექტორს უნდა შეესრულებინა, შესაბამისი აუდიტორული ინფორმაციის მოძიებისა და გაცნობის მიზნით და იმაში დასარწმუნებლად, რომ თქვენთვის ცნობილი გახდა ყველა ასეთი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება:

- ვადასტურებთ, რომ, როგორც დირექტორებმა შეასრულეთ საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ გათვალისწინებული ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარდგენასთან მიმართებაში, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ასევე ამ თარიღით დასრულებული პერიოდის საქმიანობის შედეგების უტყუარ და სამართლიან ასახვას, ასევე თქვენთვის ზუსტ წარდგენას უზრუნველყოფს. ვადასტურებთ, რომ ჩვენ დავამტკიცეთ საბოლოო ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის;
- ვადასტურებთ, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნით შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკები და გაკეთებული შეფასებების ტექნიკა (მათ შორის, მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასების დასადგენად გამოიყენება), რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენება, ყველაზე შესაფერისია იმ გარემოებებისათვის, რომლებშიც კომპანია საქმიანობს;
- გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებული შემთხვევებისა, კომპანიას არ დაუდია



რაიმე სახის გარიგება, რომელშიც ჩართულნი იყვნენ დირექტორები, სხვა ხელმძღვანელი პირები ან სხვა დაკავშირებული მხარეები, რომელიც მოითხოვს გამჟღავნებას საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შესაბამისი ინფორმაცია გამჟღავნდა კომპანიის კონტროლთან დაკავშირებით;

4. ჩვენ მოგაწოდეთ ინფორმაცია ყველა ცნობილი ან შესაძლო/მოსალოდნელი სასამართლო პროცესის ან საჩივრის შესახებ, რომელთა შედეგები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და რომელიც გამჟღავნებულია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
5. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საკმარისი ფინანსური რესურსები უზრუნველყოფილი იქნება კომპანიის საბრუნავი კაპიტალისა და კაპიტალური ხარჯების დასაფარავად მინიმუმ მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში. ჩვენთვის არ არის ცნობილი რომელიმე ისეთი ფაქტორის შესახებ, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს ზემოაღნიშნული პერიოდის მანძილზე ან მის შემდეგ;
6. საანგარიშო თარიღის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას, თუ არსებითი მოვლენები განვითარდება, რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი მონაცემების გადახედვას ან მასში განმარტებით შენიშვნებში ასახვას, დამატებით მოგაწვდით შესაბამის ინფორმაციას.
7. ჩვენ ვადასტურებთ, რომ თქვენი შეტყობინების შესაბამისად, აუდიტის დროს არ გამოვლენილა რაიმე შეუსწორებელი უზუსტობები, ხოლო გამოვლენილი უზუსტობები კი მხოლოდ აშკარად ტრივიალურია.
8. ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს გეგმები და ზრახვები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ნებისმიერი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე ან კლასიფიკაციაზე.
9. თუ არსებითი უზუსტობების არსებობის გამო, წინა პერიოდში კორექტირება მოხდა და შესაძარისი ინფორმაციის გადაანგარიშება მოხდა, საჭიროა შესაბამისი ინფორმაციის/განმარტების წარდგენა (ასს 710.9), რაც ჩვენს მიერ ასახულია შენიშვნა 3. „შესაძარისი ინფორმაცია“ ნაწილში.

მოწოდებული ინფორმაცია:

10. აუდიტის მიზნებისათვის თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ყველა საბუღალტრო ჩანაწერი და კომპანიის მიერ განხორციელებული ყველა ოპერაცია სათანადოდაა აღრიცხული საბუღალტრო ჩანაწერებში. ჩვენ მოგაწოდეთ ყველა სხვა ინფორმაცია, მოთხოვნისამებრ და მოგვეით შეუზღუდავი წვდომა იმ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში ჩართულ პირებთან, რომელთანაც საჭიროდ მიიჩნიეთ გაგეგმართათ დისკუსია. თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ ყველა სხვა ჩანაწერი და შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის, ხელმძღვანელობისა და დამფუძნებელთა ყველა შეხვედრის ოქმები.
11. გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაციისა, ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე სახის არსებითი ვალდებულებების, რეზერვების, პირობითი ვალდებულებების, პირობითი აქტივების ან კაპიტალურ ვალდებულებებზე დადებული კონტრაქტის შესახებ, რომლებიც ასახულ უნდა იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებში შენიშვნებში.
12. ჯგუფს წლის ბოლოსათვის გააჩნია შეზღუდული საკუთრების უფლება აქტივებზე ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად.

13. ჩვენ ვადასტურებთ, რომ კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.
14. ვადასტურებთ, რომ მიმოვიხილეთ ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური გრძელვადიანი აქტივების ყველა არსებითი საკითხი და შევაფასეთ მათი სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გონიერულობა. ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ ძირითადი საშუალებების, არამატერიალური გრძელვადიანი აქტივებისა და ინვესტიციების (გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულისა) ყველა მნიშვნელოვანი ერთეული და გვეუბრა, რომ არ იყო საჭირო მიმოვიხილვის ჩატარება გაუფასურებასთან მიმართებაში, რადგან არ არსებობდა გაუფასურების ნიშნები.
15. ვადასტურებთ, რომ გაცნობით ყველა დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობისა და ჩვენთვის ცნობილი, შესაბამისი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ამ დაკავშირებულ მხარესთან დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია.
16. ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას უზუსტობის ან თაღლითობის თავიდან აცილებისა და გამოვლენის მიზნით შიდა კონტროლის შექმნასა და დანერგვაზე და გაგიმჟღავნეთ ჩვენს მიერ შესრულებული იმ რისკის შეფასება, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებით უზუსტობას შეიცავდეს თაღლითობის გამო. ჩვენთვის უცნობია რაიმე დარღვევების, მათ შორის თაღლითობის და საეჭვო თაღლითობის შესახებ, რომლებშიც ჩართულნი არიან ხელმძღვანელობა, თანამშრომლები ან სხვა პირები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შიდა კონტროლში ან კომპანიის მიერ იმ პერსონალის შესახებ, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამოების ან დარღვევების შესახებ.
17. ჩვენთვის არ არის ცნობილი კანონის, რეგულირების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან კომპანიის წესდების დარღვევების ფაქტების ან შესაძლო დარღვევების შესახებ, რაც შესაძლებელია კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ჯარიმების ან სხვა ზარალის მიზეზი გახდეს. ჩვენთვის არ არის ცნობილი მსგავსი შეუსაბამოების ან დარღვევების შესახებ.
18. ჩვენ ვადასტურებთ, რომ თქვენი შეტყობინების თანახმად, არ არსებობს ისეთი საკითხები, რის შესახებაც გასურთ ჩვენთან გამართოთ დისკუსია, თქვენი პროფესიის ეთიკური პრინციპების შესაბამისობის კუთხით, რომლებიც თქვენს დაგეგმვის წერილში მითითებულია, სხვა საკითხებთან ერთად 15.09.2025 წ.
19. ჩვენ ვადასტურებთ თქვენი დაგეგმვის წერილის მიღებას 15.09.2025 წ.

პატივისცემით,

გიორგი იოსავა

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით





დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“

ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“-ს და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

„ჯგუფის“ მარაგი ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2 353 806 ლარით. ხელმძღვანელობას არ ჩაუტარებია სასაქონლო მარაგების ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რის გამოც ვერ დავრწმუნდით მოცემული თარიღისათვის არსებული მარაგების სისწორეში. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვახერხეთ ზემოთ მოცემული თარიღისათვის არსებული მარაგების რაოდენობის დადასტურება, შედეგად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა, როგორც მარაგებთან დაკავშირებით, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“ ს/ნ 200015198 საქართველო, ქ. თბილისი ბახტრიონის ქ. #11 (ფაქტიური: ქ. თბილისი, ბელიაშვილის I ჩიხი #3) ტელეფონი: 2 998855; www.auditmrcheveli.ge e-mail: companymrcheveli@gmail.com

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ „ჯგუფი“-სგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება ჯგუფი. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს „ჯგუფის“ ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ „ჯგუფი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა „ჯგუფის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება „ჯგუფი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე საფრთხეების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების ან გამოყენებული შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მამასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ვასილ ხანიშვილი.

შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-952944)

აუდიტის გარიგების პარტნიორი

ვასილ ხანიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-397158)

2025 წლის 05 ნოემბერი,

საქართველო, ქ. თბილისი, ბელიაშვილის I ჩიხი #3



შპს „ზჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	5	28 530 834	27 271 284
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(20 616 996)	(19 320 978)
საერთო მოგება		7 913 838	7 950 306
ლოგისტიკური, სადისტრიბუციო და გაყიდვების დანახარჯები	7	(4 004 367)	(3 753 782)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2 009 989)	(1 715 322)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		1 899 482	2 481 202
საპროცენტო შემოსავალი	9	3 744	259
საპროცენტო ხარჯი	9	(412 368)	(286 439)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	10	89 372	(342 858)
არასაოპერაციო შემოსავალი	11	41 177	24 161
არასაოპერაციო ხარჯი	11	(281 788)	(182 445)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		1 339 619	1 693 880
მოგების გადასახადის ხარჯი		(109 226)	(36 223)
წლის მოგება/(ზარალი)		1 230 393	1 657 657
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1 230 393	1 657 657
<i>მოგება/ზარალი მისაკუთვნიებელი:</i>			
<i>მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე</i>		1 248 957	1 710 502
<i>არამაკონტროლებელ წილზე</i>		(18 564)	(52 845)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1 230 393	1 657 657

დირექტორი

გიორგი იოსავა

05 ნოემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

მთ. ბუღალტერი

ქეთევან დადვანი

05 ნოემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	5	28 530 834	27 271 284
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(20 616 996)	(19 320 978)
საერთო მოგება		7 913 838	7 950 306
ლოგისტიკური, სადისტრიბუციო და გაყიდვების დანახარჯები	7	(4 004 367)	(3 753 782)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2 009 989)	(1 715 322)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		1 899 482	2 481 202
საპროცენტო შემოსავალი	9	3 744	259
საპროცენტო ხარჯი	9	(412 368)	(286 439)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	10	89 372	(342 858)
არასაოპერაციო შემოსავალი	11	41 177	24 161
არასაოპერაციო ხარჯი	11	(281 788)	(182 445)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		1 339 619	1 693 880
მოგების გადასახადის ხარჯი		(109 226)	(36 223)
წლის მოგება/(ზარალი)		1 230 393	1 657 657
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1 230 393	1 657 657
<i>მოგება/ზარალი მისაკუთვნიებელი:</i>			
<i>მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე</i>		1 248 957	1 710 502
<i>არამაკონტროლებელ წილზე</i>		(18 564)	(52 845)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1 230 393	1 657 657

დირექტორი

გიორგი იოსავა

05 ნოემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო



მთ. ბუღალტერი

ქეთევან დადვანი

05 ნოემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
 (ლარი)

	შენიშვნა	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	6 021 692	4 456 996
არამატერიალური აქტივები		13 347	15 859
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 035 039	4 472 855
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	13	2 353 806	1 544 120
სავაჭრო მოთხოვნები	14	5 831 229	5 972 462
სხვა აქტივები	15	46 597	18 365
მოთხოვნები მიმდინარე სესხზე	16	61 543	-
გადახდილი ავანსები	17	10 058	42 479
საგადასახადო აქტივი		1 674	-
ფული და ფულის ეკვივალენტი	18	1 197 533	496 047
სულ მიმდინარე აქტივები		9 502 440	8 073 473
სულ აქტივები		15 537 479	12 546 328
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება	19	5 368 126	4 738 116
არამაკონტროლებელი წილისათვის		241 669	350 426
სულ კაპიტალი		5 609 795	5 088 542
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	20	5 716 014	3 152 024
გადავადებული შემოსავალი	21	29 836	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 745 850	3 152 024
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	22	2 632 019	2 240 909
სხვა ვალდებულებები	23	58 604	195 962
საგადასახადო ვალდებულება	24	122 859	615 344
მიღებული ავანსები	25	5 884	7 588
მიმდინარე სესხი	20	1 362 468	1 245 959
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 181 834	4 305 762
სულ ვალდებულებები		9 927 684	7 457 786
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15 537 479	12 546 328

დირექტორი

გიორგი იოსავა

05 ნოემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

მთ. ბუღალტერი

ქეთევან დადვანი

05 ნოემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
 (ლარი)

	შენიშვნა	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	6 021 692	4 456 996
არამატერიალური აქტივები		13 347	15 859
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 035 039	4 472 855
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	13	2 353 806	1 544 120
სავაჭრო მოთხოვნები	14	5 831 229	5 972 462
სხვა აქტივები	15	46 597	18 365
მოთხოვნები მიმდინარე სესხზე	16	61 543	-
გადახდილი ავანსები	17	10 058	42 479
საგადასახადო აქტივი		1 674	-
ფული და ფულის ექვივალენტი	18	1 197 533	496 047
სულ მიმდინარე აქტივები		9 502 440	8 073 473
სულ აქტივები		15 537 479	12 546 328
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება	19	5 368 126	4 738 116
არამაკონტროლებელი წილისათვის		241 669	350 426
სულ კაპიტალი		5 609 795	5 088 542
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	20	5 716 014	3 152 024
გადავადებული შემოსავალი	21	29 836	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 745 850	3 152 024
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	22	2 632 019	2 240 909
სხვა ვალდებულებები	23	58 604	195 962
საგადასახადო ვალდებულება	24	122 859	615 344
მიღებული ავანსები	25	5 884	7 588
მიმდინარე სესხი	20	1 362 468	1 245 959
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 181 834	4 305 762
სულ ვალდებულებები		9 927 684	7 457 786
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15 537 479	12 546 328

დირექტორი

გიორგი იოსავა

05 ნოემბერი, 2025 წ.



მთ. ბუღალტერი

ქეთევან დადვანი

05 ნოემბერი, 2025 წ.

შპს „პეტი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	კაპიტალი შპს-ში	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის	-	3 232 877	3 232 877	403 271	3 636 148
კაპიტალი შპს-ში	-	-	-	-	-
დივიდენდები მოცემული წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(205 263)	(205 263)	-	205 263
	-	1 710 502	1 710 502	(52 845)	1 657 657
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	-	4 738 116	4 738 116	350 426	5 088 542
კაპიტალი შპს-ში	-	-	-	-	-
დივიდენდები მოცემული წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(618 947)	(618 947)	-	(618 947)
	-	1 248 957	1 248 957	(108 757)	1 140 200
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	-	5 368 126	5 368 126	241 669	5 609 795

შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება დაბეგრამდე		1 339 619	1 693 880
არაფულადი კორექტირება დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა და ამორტიზაცია		293 881	251 354
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული მოგება		5 008	(4 736)
არამატერიალური აქტივის გაყიდვით მიღებული მოგება		-	(735)
ძირითადი საშუალებების გასვლით წარმოქმნილი დანაკარგი		16 671	
ზარალი/(მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(89 372)	342 858
საპროცენტო შემოსავალი		(3 744)	(259)
საპროცენტო ხარჯი		412 368	286 439
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები			
შემცირება/ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობაში		(809 686)	822 827
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		113 001	(1 696 267)
შემცირება/ზრდა გადახდილ ავანსებში		32 421	15 106
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		253 752	424 558
შემცირება/ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში		(494 159)	372 983
შემცირება/ზრდა მიღებულ ავანსებში		(1 704)	(36 499)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან		1 068 056	2 471 509
მოგების გადასახადი		(109 226)	(36 223)
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან		958 830	2 435 286
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		14 146	45 637
არამატერიალური აქტივის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		-	1 144
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1 891 889)	(2 142 534)
არამატერიალური აქტივის შეძენა		-	(17 463)
გაცემული სესხი		(61 543)	-
მიღებული პროცენტი		3 744	259
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან		(1 935 542)	(2 112 957)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
გადასახდელი სესხი		2 680 499	731 553
გადახდილი პროცენტი		(412 368)	(286 439)
გადახდილი დივიდენდი		(618 947)	(205 263)
კაპიტალის შემცირების შედეგად გადახდილი თანხა			
არამაკონტროლებელ წილზე		(90 194)	-
გადავადებული შემოსავალი		29 836	-
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან		1 588 826	239 851
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		89 372	(342 858)
წმინდა ფულის ზრდა		701 486	219 322
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	18	496 047	276 725
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	18	1 197 533	496 047

შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

„პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 27.10.2011 ს/ნ 400029036. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ბარისახოს ქუჩა #11ბ.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან:
დავით მიქელაძე (პ/ნ 43001007877) -50%
და
გიორგი იოსავა (პ/ნ 19001015839) -50%;
კომპანიის ერთპიროვნული დირექტორია გიორგი იოსავა (პ/ნ 19001015839).

შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“-ის არის სადიტრიბუციო კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა სასმელი და საკვები პროდუქციით ვაჭრობა. პროდუქციის მომწოდებლები არიან როგორც არარეზიდენტი, ასევე რეზიდენტი კომპანიები.

შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“ 50% წილს ფლობს შპს „ჯორჯიან ჰოლიდი“-ში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კომპანიას, დაფუძნებულია 2017 წლის 13 თებერვალს, ს/ნ 404531529, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ივ. თარხნიშვილის I ჩიხი, #3. კომპანიის დირექტორია თამარ გუგუშვილი პ/ნ 01017034667. კომპანიის საქმიანობაა სასტუმრო მომსახურება. 2023 წლიდან სასტუმროს შენობა გადაცემულია იჯარით.

შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში მსს ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მსს ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. მონაცემები დამრგვალებულია ერთ ლარამდე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

„ჯგუფი“-ს მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება გულისხმობს, რომ ფინანსური ანგარიშგება მზადდება იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან არა ნაკლებ 12 თვის განმავლობაში.

„ჯგუფი“ მუშაობს განვითარების კუთხით, ორიენტირებულია ახალი მომწოდებლების და ახალი კლიენტების ძიებაზე. განხორციელდა პროდუქციის პორტფელის ზრდა. დასრულდა სასაწყობო - საოფისე კომპლექსის პროექტირება და მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. რაც შეეხება სასტუმროს, ის მდებარეობს ქ. თბილისის ცენტრალურ რაიონში და მომავალში შეიძლება განხილულ იქნას თანამედროვე მრავალპროფილიანი კომპლექსის ნაწილად მომოჯნავე ობიექტების კონსოლიდაციის მეშვეობით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა სამართლიანია.

კონსოლიდაციის საფუძველი

მშობელი საწარმო წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც კონსოლიდირებულია შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები.

შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს მშობელი საწარმო. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იმ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო პირდაპირ ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოს მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს.

მშობელი კომპანია შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“ ფლობს 50% წილს. იგი უზრუნველყოფს შვილობილ კომპანიას კრიტიკული რესურსით, კერძოდ ფინანსებით: გარდა წილის შემენისა, მან შეავსო შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალი 100 000 აშშ დოლარით და გაცემული აქვს სესხი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

ა) გაერთიანებულია შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“ -ის და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგებები მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

ბ) უგულებელყოფილია შვილობილ საწარმოში შპს „პჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“ -ის მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მშობელ საწარმოს ეკუთვნის;

შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შპს „ჯორჯიან ჰოლიდი“, ს/ნ 404531529; წილობრივი მონაწილეობა 50%; რეგისტრაციის თარიღი 13.02.2017 წ.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება „ჯგუფი“-ს ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო	100RUB
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2,8068	2,9306	2,5405
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,6894	2,9753	2,9916

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

„ჯგუფში“ ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება ისტორიული ღირებულებით (თვითღირებულებით), რომელიც მოიცავს აქტივების შეძენასთან და ექსპლუატაციაში გადაცემასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ექსპლუატაციაში გადაცემის შემდგომი ხარჯებიდან მისი ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და ამასთან შესაძლებელია მისი ღირებულების რეალურად შეფასება, აღირიცხება ცალკე აქტივად ან ემატება უკვე მოქმედი აქტივის ღირებულებას.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი ცვეთის მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები გაანგარიშებულია ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადებიდან გამომდინარე.

შესაბამისად, ძირითადი საშუალებები დაჯგუფებულია და შეესაბამება ცვეთის ნორმები შემდეგ დიაპაზონში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
შენობა	20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-8
სატრანსპორტო საშუალებები	5-8
სხვა	5

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების

ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო საშუალო ვადა:

სასარგებლო
გამოყენების
ვადა წლებში

პროგრამული უზრუნველყოფა

5-8

გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას. მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრება შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. კომპანიის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება წილობრივი მეთოდით.

წილობრივი მეთოდის თანახმად ინვესტორი თავის ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ეს არ შეეხება იმ ინვესტიციებს, რომელთა კოტირებული ფასი ქვეყნდება.

ინვესტორმა ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა განაწილებები უნდა აღიაროს, როგორც შემოსავალი, იმის მიუხედავად, საიდან იქნა მიღებული ეს განაწილებები: მეკავშირე საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც წარმოიქმნა ინვესტიციის შეძენის თარიღამდე თუ ინვესტიციის შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა კომპანიის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ და აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

ინვესტორმა მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, თუ არსებობს ამ ინვესტიციის კოტირებული ფასი.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. საქართველოში მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული

საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო თანხით.

თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით.

ამიტომ „ჯგუფი“ ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და ამ მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისაგან (ტრანსპორტირება და დასაწყობება). მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და საერთოდ იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის,

მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების (გამოყენებულის და ნაშთად არსებულის) ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

„ჯგუფს“ არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არამწამოებლურ ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციების დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა და გაცემასთან. შემდეგ კი აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მიღების უფლებას ან შედის ისეთ

გარიგებაში, როდესაც: აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც მომწოდებლების მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით შემცირებული ტრანზაქციის ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება. ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდოულად.

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში

გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში მოთხოვნა წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, საექვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ჯგუფი მიღებულ სესხებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. ავანსების გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ავანსის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწყისი საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. ჯგუფი ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ჯგუფი არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

ამონაგების აღიარება საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით ხდება იმისდა მიხედვით თუ რა ოდენობის ანაზღაურების მიღებას მოელის ჯგუფი ამ საქონლის სანაცვლოდ. საქონლის გაყიდვის გარიგების ფასის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს ცვალებადი ანაზღაურების ეფექტს, დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობას და მომხმარებლისათვის გადასახდელი თანხის ოდენობას (როგორცაა სავაჭრო ადგილის გადასახადი, მომხმარებლისათვის ჯგუფის საქონლის მაღაზიის თაროებზე გამოფენისთვის გადახდილი თანხა), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დაბრუნების უფლება

ზოგიერთი ხელშეკრულებები მომხმარებელს უფლებას აძლევს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკან დააბრუნოს საქონელი. ჯგუფის ვალდებულებაა დაიბრუნოს ვადაგასული საქონელი, რაც აღიარებულია ხარჯად ფაქტიურად დაბრუნებული საქონლის ღირებულების ოდენობით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება ალბულო სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, გაცემულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება ალბულო სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. ჯგუფის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ჯგუფი დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს 33 განყოფილების მიხედვით დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა.

შენიშვნა 5. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	32 987 244	31 038 515
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	105 241	63 575
მარკეტინგული ხარჯი	(4 715 977)	(3 961 622)
სასტუმროს მომსახურება	51	52 442
შემოსავალი იჯარიდან	154 275	78 374
სულ	28 530 834	27 271 284

შენიშვნა 6. თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული/შემენილი საქონელი	(20 501 163)	(19 179 677)
პროდუქტის ჩამოწერა	-	(3 382)
სამრეცხაოს ხარჯი	-	(2 528)
ცვეთა და ამორტიზაცია	(114 071)	(114 078)
კომუნალური გადასახადები	(209)	(11 517)
სამეურნეო ხარჯი	-	(1 199)
booking მომსახურება	-	(7 573)
დაზღვევა	(1 553)	(1 024)
სულ	(20 616 996)	(19 320 978)

შენიშვნა 7. ლოგისტიკური, სადისტრიბუციო და გაყიდვების დანახარჯები

	2024	2023
ჩამოწერილი საქონელი (ვადაგასული, გატეხილი, დაზიანებული)	(171 088)	(212 740)
შრომის ანაზღაურება	(2 431 126)	(2 303 618)
კომუნალური ხარჯი	(38 552)	(24 236)
ფიზ.პირების მიერ გაწეული მომსახურება	(96 116)	(64 047)
საპენსიო ხარჯი	(41 732)	(38 240)
GPRS მომსახურება	(18 599)	(14 776)
სალარო აპატარის მომსახურება	(7 857)	(6 289)
საწვავის ხარჯი	(395 191)	(390 638)

საიჯარო ქირა	(158 431)	(160 475)
ა/მანქანის ხარჯი	(105 236)	(103 870)
სარეკლამო ხარჯი	(175 047)	(165 167)
დაზღვევის ხარჯი	(55 580)	(53 149)
აღსრულების ხარჯი	(8 132)	(1 371)
ცვეთა და ამორტიზაცია	(124 560)	(90 106)
სასაწყობე ხარჯი	(8 459)	(14 209)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(103 085)	(88 057)
მივლინება	(7 254)	(13 230)
ლოჯისტიკური მომსახურება	(58 322)	(9 564)
სულ	(4 004 367)	(3 753 782)

შენიშვნა 8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1 286 425)	(1 143 662)
საპენსიო ხარჯი	(11 594)	(7 494)
საწვავი	(44 580)	(21 281)
საიჯარო ქირა	(7 028)	(3 450)
შრომის და უსაფრთხოების ხარჯი	(13 155)	(14 438)
კომუნიკაციის ხარჯები	(17 951)	(19 493)
ვალდებულების ანარიცხის ხარჯი	-	(89 583)
ოფისის ხარჯი	(52 194)	(51 535)
დაზღვევის ხარჯი	(26 157)	(19 652)
საკონსულტაციო ხარჯები	(84 219)	(42 640)
ცვეთა და ამორტიზაცია	(55 250)	(47 170)
საგადასახადო ხარჯი	(101 206)	(101 179)
ბანკის საკომისიო	(163 712)	(25 315)
უიმედო ვალები	(36 531)	(84 405)
სხვა ხარჯი	(109 987)	(44 025)
სულ	(2 009 989)	(1 715 322)

შენიშვნა 9. ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	3 744	259
საპროცენტო ხარჯი	(412 368)	(286 439)

შენიშვნა 10. წმინდა მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან

	2024	2023
დადებითი საკუროსო სხვაობა	814 531	419 704
უარყოფითი საკუროსო სხვაობა	(725 159)	(762 562)
სულ	89 372	(342 858)

შენიშვნა 11. არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

	2024	2023
არასაოპერაციო შემოსავალი		
კრედიტ ნოტა	11 509	1 137
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13 789	10 705
სადაზღვევო ანაზღაურება	12 750	6 848
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	3 129	45 637

რეალიზებული ძირითადი საშ. თვითღირებულება	-	(40 352)
არამატერიალური აქტივის რეალიზაცია	-	1 144
რეალიზებული არამატერიალური აქტივის თვითღირებულება	-	(958)
სულ	41 177	24 161

არასაოპერაციო ხარჯი	2024	2023
უსასყიდლო მიწოდების ხარჯი	(74 586)	(70 598)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(130 560)	(86 236)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	11 017	-
რეალიზებული ძირითადი საშ. თვითღირებულება	(19 154)	-
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების ხარჯი	(16 671)	-
დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი	(22 075)	(22 182)
ჯარიმები და საურავები	(29 759)	(3 429)
სულ	(281 788)	(182 445)

შენიშვნა 12. ძირითადი საშუალებები

	მიწა 2110	შენიშვნა - ნაგებობები	დაუმთავრ მშენებლობა	მანქანა- დანადგ არები	ოფისის აღჭურვი ლობა და სხვა ძირითადი საშუალებ ები	იჯარით აღებული ძირითადი საშუალებ ების კეთილმ ოწყობა	სულ აქტივები
თვითღირებულება							
01.01.2023	564 700	2 310 680	-	20 175	347 650	297 951	3 541 156
შემოსვლა	1 313 600	490 349	-	13 625	120 265	201 336	2 142 533
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	(18 349)	(7 444)	(53 387)	(79 180)
31.12.2023	1 878 300	2 801 029	-	15 451	460 471	445 900	5 604 509
შემოსვლა	499 500	-	1 148 640	-	69 529	173 594	1 893 159
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	(1 826)	(195 705)	(25 836)	(223 367)
31.12.2024	2 377 800	2 801 029	1 148 640	13 625	334 295	593 658	7 274 301
დაგროვილი ცვეთა							
01.01.2023	-	(633 008)	-	(10 297)	(210 399)	(83 053)	(936 757)
პერიოდის ცვეთა	-	(139 813)	-	(1 000)	(50 646)	(63 402)	(255 319)
გასვლა/ჩამოწერა	-	6 284	-	8 563	7 444	22 272	44 563
31.12.2023	-	(766 537)	-	(2 734)	(253 601)	(124 183)	(1 147 513)
პერიოდის ცვეთა	-	(140 051)	-	(1 363)	(62 696)	(86 428)	(291 368)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	1 826	177 764	6 682	186 272
31.12.2024	-	(906 588)	-	(2 271)	(138 533)	(203 929)	(1 252 609)
საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 01.01.2023	564 700	1 677 672	-	9 878	137 251	214 898	2 604 399
ბალანსი 31.12.2023	1 878 300	2 034 492	-	12 717	206 870	321 717	4 456 996
ბალანსი 31.12.2024	2 377 800	1 894 441	1 148 640	11 354	195 762	389 729	6 021 692

შენიშვნა 13. მარაგები

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
FMG საქონელი საწყობში	2 271 687	1 408 722
საქონელი გზაში	42 343	100 819
ნედლეული და მასალები	16 436	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	351
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	23 340	34 228
სულ	2 353 806	1 544 120

შენიშვნა 14. სავაჭრო მოთხოვნები

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6 195 924	6 300 626
საექვო მოთხოვნების რეზერვი/კორექტირება	(364 695)	(328 164)
სულ	5 831 229	5 972 462

მშობელ კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შექმნილი აქვს საექვო ვალების რეზერვი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით სხვა მომხმარებლებზე, რამაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 364 695 ლარი. მსხვილი მომხმარებლებისა და ქსელური კომპანიების ნაშთებზე რეზერვი არ შექმნილა, რადგან ამ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებში ჩადებულია ანაზღაურების ვადების სხვადასხვა პირობები. ქსელური კომპანიების დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაშთები და არ აღემატება 180 დღეს.

მშობელი კომპანიის სხვა მომხმარებლების ნაშთები დავალიანების დღეების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

2024	360						დღეზე მეტი
	სულ	30 დღემდე	31-60 დღემდე	61-90 დღემდე	91-180 დღემდე	181-360 დღემდე	
სავაჭრო მოთხოვნები							
მსხვილი მომხმარებლების და დიდი ქსელების ნაშთები	3 809 003	2 009 640	1 333 853	334 571	99 379	31 560	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი/კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
სხვა მომხმარებლები	2 386 921	1 080 962	349 145	231 142	264 516	362 909	98 247
საექვო მოთხოვნების რეზერვი/კორექტირება	(364 695)	-	(6 983)	(11 557)	(66 129)	(181 779)	(98 247)
ზარალის დონე	5,89%	-	0,41%	2,04%	18,17%	46,08%	100,00%
სულ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება	5 831 229	3 090 602	1 676 015	554 156	297 766	212 690	-

2023	360						დღეზე მეტი
	სულ	30 დღემდე	31-60 დღემდე	61-90 დღემდე	91-180 დღემდე	181-360 დღემდე	
სავაჭრო მოთხოვნები							
მსხვილი მომხმარებლების და დიდი ქსელების ნაშთები	3 925 335	2 184 959	1 466 260	216 796	56 581	739	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი/კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
სხვა მომხმარებლები	2 375 290	1 008 108	506 618	239 853	273 066	219 955	127 690
საექვო მოთხოვნების რეზერვი/კორექტირება	(328 164)	-	(10 132)	(11 993)	(68 266)	(110 082)	(127 690)
ზარალის დონე	5,21%	-	0,51%	2,63%	20,71%	49,88%	100,00%
სულ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება	5 972 462	3 193 067	1 962 746	444 657	261 381	110 612	-

შენიშვნა 15. სხვა აქტივები

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
გაცემულ სესხზე მისაღები პროცენტი	2 747	-
წინასწარ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	9 824	17 079
სხვა მოთხოვნები	34 026	1 286
სულ	46 597	18 365

შენიშვნა 16. მოთხოვნები მიმდინარე სესხზე

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
გაცემული სესხის მიმდინარე ნაწილი	61 543	-
სულ	61 543	-

შენიშვნა 17. გადახდილი ავანსები

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10 058	42 479

სულ**10 058****42 479**

ჯგუფს ავანსები გადახდილი აქვს საქონლის და მოსახურების მომწოდებელი კომპანიებისათვის.

შენიშვნა 18. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
ნაღდი ფული სალაროში	79 395	343 236
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	929 876	148 101
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	185 657	4 560
ბიზნეს ბარათები	2 605	150
სულ	1 197 533	496 047

შენიშვნა 19. კაპიტალი

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
გაუნაწილებელი მოგება	5 368 126	4 738 116
არამაკონტროლებელი წილისათვის	241 669	350 426
სულ	5 609 795	5 088 542

შენიშვნა 20. სესხები

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
გრძელვადიანი სესხები	5 716 014	3 152 024
სულ გრძელვადიანი სესხები	5 716 014	3 152 024

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	1 362 468	1 245 959
სულ მიმდინარე სესხები	1 362 468	1 245 959

მშობელმა კომპანიამ 2024 წელს სრულად დაფარა თიბისი ბანკისაგან მიღებული სესხები.

2024 წლის 25 ოქტომბერს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება სს ბაზის ბანკთან კრედიტის ტიპი; აგრო სესხი, კრედიტის მოცულობა 6 300 000 ლარი. წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%, ვადა 120 თვე. აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის მიერ კრედიტი გაცემულია ბანკსა და ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროდუქტების მართვის სააგენტოს“ შორის გაფორმებული შეღავათიანი აგროკრედიტის შესახებ ხელშეკრულებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“-ის შესაბამისი კომპონენტის ფარგლებში.

კომპანიამ 2024 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე სს ბაზის ბანკისაგან აიღო ბიზნეს სესხი 3 000 000 ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთი 14%, კრედიტის ვადა პირველი ტრანშის გაცემიდან 25.10.2024-31.07.2029-მდე;

2024 წლის 25 ოქტომბერს სს ბაზის ბანკთან გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, კრედიტის ტიპი: საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში მრავალჯერადად ათვისებადი კრედიტი, საკრედიტო ლიმიტი 2 500 000 ლარი. წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%, ლიმიტის ვადა 25.10.2024-27.10.2025-მდე;

შპს ჯორჯიან ჰოლიდიმ 2024 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულებების საფუძველზე სს ბაზის ბანკისაგან აიღო სესხი ჯამურად 363 000 ლარი. მიზნობრიობა სს თიბისი ბანკში არსებული საკრედიტო ხაზების რეფინანსირება. წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%, კრედიტის ვადა 04.09.2031 წ.

ჯგუფი მიღებული სესხებიდან აღიარებს მიმდინარე სესხად იმ ნაწილს, რომლის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სესხები უზრუნველყოფილია მშობელი და მისი შვილობილი კომპანიების უძრავი ქონებით, ფიზიკური პირის საცხოვრებელი ფართებით.

შენიშვნა 21. გადავადებული შემოსავალი

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
სახელმწიფო გრანტი (ვალდებულება)	29 836	-
სულ	29 836	-

შეღავათიანი აგროკრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში მშობელი კომპანია ვალდებულია შეასრულოს სესხის გრაფიკით გათვალისწინებული თანადაფინანსების ვადაში გარკვეული ვალდებულებები. ვალდებულებების დარღვევის ან არ შესრულების შემთხვევაში თანადაფინანსების პროცენტი უნდა დაუბრუნდეს სააგენტოს. ამასთან დაკავშირებით თანადაფინანსების გრაფიკის მიხედვით მშობელი კომპანიისათვის ჩარიცხული სესხის პროცენტი აღიარებულია როგორც გადავადებული შემოსავალი.

შენიშვნა 22. სავაჭრო ვალდებულებები

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2 632 019	2 240 909
სულ	2 632 019	2 240 909

შენიშვნა 23. სხვა ვალდებულებები

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
ა/მ იჯარა	343	720
საპენსიო გადასახადი	48 815	85 264
გადასახდელი პროცენტები	9 428	20 315
სხვა ვალდებულებები	18	80
ვალდებულების ანარიცხი		89 583
სულ	58 604	195 962

შენიშვნა 24. საგადასახადო ვალდებულება

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
წმინდა ერთიანი საგადასახადო ანგარიში	122 859	615 344
სულ	122 859	615 344

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებები/მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს ნეტო ღირებულებით. ნეტო ღირებულებით საგადასახადო ვალდებულებების/მოთხოვნების აღიარება გულისხმობს გადასახდელი გადასახადებიდან წინასწარ გადახდილი გადასახადების თანხების გამოქვითვას, ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარი გადახდები აღიარებულია ნაშთის სახით.

შენიშვნა 25. მიღებული ავანსები

	31.დეკ.2024	31.დეკ.2023
მიღებული ავანსები	5 884	7 588

ჯგუფს მიღებული აქვს ავანსები მომხმარებლებისაგან.

შენიშვნა 26. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამრთლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზრებთან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზეგავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სასამართლო საქმეები

შპს „3 ჯი ჯორჯიან გლობალ გრუპ“-ის მიერ სასამართლოში 01.07.2024 წ. შეტანილია ერთი #2-156-24 ლანჩხუთის მაგისტრატ სასამართლოს წარმოებაში. განხილვა ჯერ არ დაწყებულა, რადგან სარჩელი ვერ ბარდება მოპასუხეს. აღნიშნული დავის თანხა არის 687,62 ლარი. დავაზე კომპანიის მოლოდინია, რომ დავა გადაწყდება შპს „3ჯი-ჯორჯიან გლობალ გრუპ“-ის სასარგებლოდ, რის საფუძველსაც იძლევა საქმეში არსებული დოკუმენტაცია და დაუსწრებლად გადაწყვეტილების მიღების დიდი ალბათობა.

2018 წელს დაწყებული შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე წარმოშობილი დავა ბოლოს გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელიც დასრულდა 2024 წელს შპს „3 ჯი ჯორჯიან გლობალ გრუპ“ საწინააღმდეგოდ და დაეკისრა კომპენსაციის გადახდა ყველა გადასახადის ჩათვლით, ჯამურად 89 582,65 ლარი. საანგარიშგებო თარიღის შემდეგ გამოტანილი განაჩენი, როგორც მაკორექტირებელი მოვლენა ასახულია 2023 წლის ანგარიშგებაში.

სხვა აქტიური სასამართლო დავა არ მიმდინარეობს.

გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

შენიშვნა 27. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია მსს ფასს 33 განყოფილებაში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

2024 წ.		ხარჯი/შეძენა			მისაღები თანხა/(დავა ლიანება)	
		დაკავშირებული მხარისაგან	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი		
		ურთიერთობა			დივიდენდი	
დავით მიქელაძე	დამფ.	499 500	410 718	410 718	309 474	-
გიორგი იოსავა	დამფ.	-	-	-	309 474	-
		499 500	410 718	410 718	618 947	-

2023 წ.					მისაღები თანხა/(დავა ლიანება)	
		ურთიერთობა			დივიდენდი	
დავით მიქელაძე	დამფ.	-	-	-	102 632	-
გიორგი იოსავა	დამფ.	-	-	-	102 632	-
					205 264	-

დამფუძნებელ ფიზიკურ პირებზე გაცემულია დივიდენდები.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის
ანაზღაურება

2024	2023
467 333	522 953

შენიშვნა 28. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ჯგუფის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია ჯგუფმა დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 0 ლარი.

შენიშვნა 29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები, რომელიც მოხდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე და რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შენიშვნა 30 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 05 ნოემბერს.

შპს „3G-Georgian Global Group“

მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა

2024 წელი

1. შპს „3G-Georgian Global Group“ ბიზნესის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა:

შპს „3G-Georgian Global Group“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის ოქტომბერში და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდი 400029036.

„კომპანიის“ მფლობელები არიან:

დავით მიქელაძე (პ/ნ 43001007877) – 50%

გიორგი იოსავა (პ/ნ 19001015839) – 50%.

შპს „3G-Georgian Global Group“ 2017 წლის თებერვლის თვიდან ფლობს 50%-იან წილს შპს „ჯორჯიან ჰოლიდინ“-ში, რომლის საქმიანობაა სასტუმრო მომსახურება. მოცემულ პერიოდში ტურისტული თემა ძალიან ინტენსიურად ვითარდებოდა საქართველოში და ჩვენთვისაც საინტერესოდ ჩანდა ამ ინდუსტრიაში შესვლა, ბანკის მხარდაჭერით მოვახერხეთ ინვესტიციის მოზიდვა და შევძელით მოქმედი სასტუმროს წილის შეძენა და მისი სრული რეკონსტრუქცია (განმარტება - სასტუმროს რეკონსტრუქციისთვის სს თიბისი ბანკში აღებული სესხის გადაფარვა მოხდა სს ბაზისბანკის სესხით, ვინაიდან მშობელი კომპანია სრულად გადავიდა სს ბაზისბანკის მომსახურებაზე). სამწუხაროდ ეპიდემია Covid 19 გავრცელების გამო, მოგვიწია სასტუმროს ფუნქციონირების ჯერ შეზღუდვა და შემდეგ მისი პროფილის შეცვლა და ობიექტი გაქირავებული იყო როგორც საოფისე ფართი.

ჯგუფის მშობელი კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საკვები და სასმელი პროდუქტების დისტრიბუცია და გაყიდვა საბითუმო, საცალო და ქსელური ვაჭრობის ობიექტებზე. კომპანია არის ქვემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო კომპანიების პროდუქციის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში.

CROCO S.R.L. (კროკო - რუმინეთი)

SIA Orkla Latvija (ლაიმა - ლატვია)

Yiwu International Company LTD-FEZ (ევროექსპრესი - ყირგიზეთი)

CJSC SIS NATURAL (მერო, სან - სომხეთი)

SAIGROUP (კანდიზი - თურქეთი)

FIRMA ITALIA S.P.A. (ნიოკი - იტალია)

EVROPA DOOEL (ჩუნგა ლუნგა - ჩრდილოეთ მაკედონია)

ООО ГРЕЙН АЛКО (რადუგა ხლებნაია - სომხეთი)

ООО Балт-Фиш плюс (რიბნი სტანდარტი - რუსეთი)

ООО Кухмастер (კუხმასტერი - რუსეთი)

ЗАО Минский завод виноградных вин (სვიაკი - ბელორუსია)



კომპანია ასევე ახდენს ადგილობრივი კომპანიების მიერ წარმოებული ან მოწოდებული პროდუქციის დისტრიბუციას და რეალიზაციას:

შპს „ბუმ ჯგუფი“ (მერო და 3G)

შპს „ალპენ მილკი“ (ზეზო გენაცვალოს)

შპს „გემო“ (ზეზო გენაცვალოს და ტომატელა)

შპს „ქართულ ნატურალურ პროდუქტთა კომპანია“ (დიდგორი)

შპს „ბაღდათური 2015“ (რქაწითელი, ცოლიკაური, ალადასტური)

შპს „ლორგო“ (დოშირაკი, იასნი სოლნიშკო - რუსეთი)

კომპანია ემსახურება ათასობით სავაჭრო ობიექტს საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ყველა ქსელურ მარკეტებს, როგორც არის „ნიკორა“, „ლიბრე“, „ორი ნაბიჯი“, „კარფური“, „ფრესკო“, „ზღაპარი“, „სპარი“, „იოლი“, „აგროჰაბი“, „გუდვილი“, „ვილმარტი“, „ნაზილბეი“, „ილჩინმარკეტი“, „უნივერსამი“, „მადაგონი“, „მაგნიტი“.

ქვემოთ მოცემულია პროდუქციის შესყიდვების ხარჯები ლარში (დღგ-ის გარეშე) 2024 წელს, ძირითადი პროდუქციის დანაყოფებით:

№	პროდუქციის ტიპი	იმპორტი	ადგილობრივი
1	ალკოჰოლური სასმელები	7 705 884	348 191
2	უალკოჰოლო სასმელები	1 565 385	277 992
3	სნეკები და ტკბილეული	4 200 135	68 432
4	ბაკალეა	1 136 748	2 391 471
5	სხვა	3 644 166	200 963

ქვემოთ მოცემულია გაყიდვებიდან შემოსავლის მოცულობა და საწყობის მარაგები ლარში (დღგ-ის გარეშე) კატეგორიების მიხედვით:

№	პროდუქციის ტიპი	რეალიზაცია	
1	ალკოჰოლური სასმელები	11 836 088	
2	უალკოჰოლო სასმელები	2 449 671	
3	სნეკები და ტკბილეული	8 494 609	
4	ბაკალეა	5 272 537	
5	სხვა	4 934 340	



2. შპს „3G-Georgian Global Group“ სამომავლო განვითარების გეგმები:

შპს „3G-Georgian Global Group“ საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი სადისტრიბუციო კომპანიაა, რომელსაც მყარი პოზიციები აქვს ალკოჰოლურ ბაზარზე, კერძოდ ჩვენი ორი ვოდკის ბრენდი „რადუგა ზღებნაია“ და „სვიაკი“ გაყიდვების მრავალწლიანი ლიდერები არიან, აგრეთვე ბრენდი „კროკო“ არის სწევების ბაზრის უპირობო დომინანტი. ამიტომ გვაქვს სამომავლოდ განვითარების ამბიციური გეგმები. კომპანია ორიენტირებულია ახალი მომწოდებლების, ახალი კლიენტების და ახალი შესაძლებლობების ძიებაზე. კომპანიის ძირითადი მიზანია ჰქონდეს პროდუქტების დივერსიფიცირებული პორტფელი და მომხმარებლის ნდობა.

თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურიდან მიღებულია ნებართვა და დავიწყეთ საოფისე-სასაწყობო კომპლექსის მშენებლობა, 3700 კვ.მ. სასაწყობო და 1200 კვ.მ. საოფისე შენობა. კომპანია მიზნად ისახავს გაყიდვებისა და დისტრიბუციის ინოვაციური გადაწყვეტების შემუშავებას, რათა გახდეს საქართველოს სამომხმარებლო საქონლის ბაზრის აქტიური და ეფექტური მოთამაშე.

ვინაიდან სასტუმრო ტერიტორიულად მდებარეობს თბილისის ცენტრალურ რაიონში, კერძოდ ვერაზე და ეს ტერიტორია არის პოტენციურად საინვესტიციოდ მიმზიდველი, კომპანია განიხილავს როგორც ობიექტის გასხვისებას მაღალ ფასად, ასევე თანამედროვე მრავალპროფილიანი კომპლექსის ნაწილად, მომიჯნავე ობიექტების კონსოლიდაციის მეშვეობით.

3. შპს „3G-Georgian Global Group“ რეგიონალური ინფრასტრუქტურა და ავტოპარკი:

შპს „3G-Georgian Global Group“ აქვს ფილიალები (საწყობო და გაყიდვების ოფისი) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და საქმიანობას ეწევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კომპანიის დისტრიბუციის მთავარი ცენტრი განთავსებულია თბილისში, ავჭალაში - 1250 კვ.მ. (და მშენებარე - 3700 კვ.მ.), ბათუმში - 400 კვ.მ. ზუგდიდში - 320 კვ.მ., ქუთაისში - 100 კვ.მ., და გურჯაანში - 70 კვ.მ. ყველა ფილიალის მართვა ხდება ცენტრალიზებულად და ერთიანი საბუღალტრო და სადისტრიბუციო პროგრამებით. საკუთრებაში ან იჯარით გვაქვს 25 სატვირთო ავტომობილი.



4. შპს „3G-Georgian Global Group“ და შპს „ჯორჯიან ჰოლიდინ“ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულია მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.

მთავარი ფინანსური მაჩვენებლები:

№	ფინანსური მაჩვენებლები	2023	2024
1	ამონაგები	27,271,284	28 530 834
2	გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(19,320,978)	(20 616 996)
3	საერთო მოგება	7,950,306	7 913 838
4	საერთო მოგება %	29.15%	27.74%
5	წმინდა მოგება	1,747,240	1 228 820
6	სულ აქტივები	12,546,328	15 537 479
7	სულ ვალდებულებები	7,457 786	9 927 685

კომპანიაში 2023 წ. დასაქმებული იყო 118 კაცი, ხოლო 2024 წ. - 120 კაცი.

5. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხების დამატებითი განმარტება

ქვემოთ მოცემულია განმარტებები ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებში მთავარი ცვლილებების შესახებ:

ამონაგები – ზრდა მიღწეულია არსებული ძირითადი ბრენდების (კროკო და ვოდკა სვიაკი) გაყიდვების გაუმჯობესებით, რაც ძირითადად განაპირობა მარკეტინგული აქტივობების უფრო ეფექტურად წარმართვამ და მომხმარებლების ნდობის ზრდამ. გარდა ამისა, კომპანიამ დაიწყო ახალი ბრენდების (კანდიზი, ჩუნგა ლუნგა, ფირმა იტალია) დისტრიბუცია.

წმინდა შემოსავალი – ზრდა გამოწვეულია გაყიდვების მოცულობის გაზრდით, რაც ძირითადად განაპირობა გაყიდვების სტიმულირების აქტივობების უფრო ეფექტურად წარმართვამ და მომხმარებლების ხარჯვის ზრდამ.



წმინდა მოგება - ამ მაჩვენებლის გაუარესება გამოწვეულია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებების და ვალუტის კონვერტაციაზე გაწეული ხარჯებით, ასევე დამატებით მოზიდული სესხების საპროცენტო ხარჯების მატებით და სხვა ცალკეული არასაოპერაციო ხარჯების ზრდით.

6. საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის, ფულადი ნაკადების რისკებისა და განუსაზღვრელობების ფინანსური რისკის მართვის მიმოხილვა

კომპანიის ფარგლებში რისკების მართვის ფუნქცია ხორციელდება საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებთან მიმართებაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი რისკების, განუსაზღვრელობების და მენეჯმენტის შესაბამისი რეაგირების მიმოხილვა.

	რისკისა და განუსაზღვრელობის განმარტება	მენეჯმენტის შესაბამისი რეაგირება
1	სავალუტო რისკი	ხელმძღვანელობის პასუხი
	კომპანიას აქვს შემდეგი სავალუტო რისკი: - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს ინფლაციის მაჩვენებლის შემდგომ ზრდას, რის შედეგადაც შემცირდება მომხმარებლის მსყიდველობითი უნარი; - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს იმპორტირებული პროდუქციის გაძვირებას; - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს კომპანიის საბანკო სესხების მომსახურების გაძვირებას;	კომპანია ცდილობს: - იმპორტირებული ბრენდების შესასყიდი ფასების ოპტიმიზაციას, სავალუტო რისკის მინიმუმამდე დასაყვანად. - პროდუქციის მარაგების შექმნას სავალუტო რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. - საკრედიტო ორგანიზაციებთან საპროცენტო განაკვეთების შემცირებას
2	ფულადი ნაკადების რისკი	ხელმძღვანელობის პასუხი



- კომპანიის შემოსავალი ქართულ ლარშია, - კომპანია თავის კლიენტებს უფრო მეტ საკრედიტო დღეებს აძლევს ვიდრე თვითონ იღებს თავისი მომწოდებლებისგან.	- კომპანია ადგენს ფულადი ნაკადების პროგნოზებს რამდენიმე თვით ადრე, რათა გაითვალისწინოს ფულადი სახსრების საჭიროება და გამოავლინოს ლიკვიდურობასთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემა. - კომპანია მუდმივად აწარმოებს მოლაპარაკებებს მომწოდებლებთან რათა მიიღოს შეღავათიანი საგადახდო პირობები - კომპანია ასევე იყენებს ადგილობრივი ბანკების საკრედიტო პროდუქტებს.
--	--

გიორგი იოსავა
დირექტორი


 კომპანიის ბეჭედი
 22 ოქტომბერი 2025 წ.

